აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ოქმი №2

24/07/2026 წელი **ქ. ბათუმი**

12⁰⁰ საათი.

სხდომას თავმჯდომარეობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე **- პაატა კეშელავა.**

სხდომას ესწრებოდნენ:

ნოდარ მელაძე - უსკოს თავმჯდომარის მოადგილე;

ტარიელ გოგიტიძე - უსკოს მდივანი;

ირაკლი გვარჯალაძე - უსკოს წევრი;

მარიამი გუგუნავა - უსკოს წევრი;

ციალა შავაძე - უსკოს წევრი;

თამარ ქამადაძე - უსკოს წევრი.

სხდომას არ ესწრებოდა:

ზაალ ზაალიშვილი - უსკოს წევრი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

სულხან ჩოგაძე – უსკოს აპარატის საოქმო, სარეგისტრაციო და საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტის უფროსი;

ფრიდონ ბათნიძე - უსკოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი;

ლევან სამნიძე – უსკოს აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო დეპარტამენტის უფროსი;

ნესტან ნაკაშიძე - უსკოს აპარატის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარე, პაატა კეშელავა, მიესალმა კომისიის წევრებს, სხდომა გახსნილად გამოაცხადა და აღნიშნა, რომ ვიდრე დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვაზე გადავიდოდა სურდა მოკლედ შეხებოდა იმ საკითხს რა პროცესსაც გადის უსკო მოცემულ სიტუაციაში, როგორც ცნობილია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ 2026 წლის 30 აპრილს მიღებული იქნა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალი კანონი, რომლის 90-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, უსკოს ვალდებულებაა კანონის მიღებიდან 4 თვის ვადაში უზრუნველყოს მის მიერ მიღებული იმ სამართლებრივი აქტების ზ/აღნიშნულ კანონთან შესაბამისობა, რომელიც ეწინააღმდეგება, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონის მოთხოვნებს. პაატა კეშელავამ ასევე აღნიშნა, რომ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონთან უსკოს მიერ მიღებული სამართლებრივი აქტების ამავე კანონთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით უსკოს თავმჯდომარის ბრძანებით შეიქმნა სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომელსაც დაევალა უსკოს სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება, რომლებიც სრულ შესაბამისობაში იქნებოდა ახალ საკანონმდებლო რეგულაციებთან. მადლობა გადაუხადა სამუშაო ჯგუფის წევრებს, რომლებმაც ამ პროცესის პირველი ეტაპზე საკმაოდ მნიშვნელოვანი სამუშაო გასწიეს. რის შემდეგაც კომისიის წევრებს წარუდგინა და გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

დღის წესრიგის პროექტი:

1. დადგენილება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ;

2. დადგენილება

შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებული და სამსახურებრივი შეუთავსებლობის საკითხების განსაზღვრის შესახებ;

3. დადგენილება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ მოხელეთა ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ, რომლებსაც არ ესაჭიროებათ საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი;

4. დადგენილება

არასაარჩევნო პერიოდში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლის რეგისტრაციის წესის განსაზღვრის შესახებ;

5. დადგენილება

არასაარჩევნო პერიოდში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში დამკვირვებელ ორგანიზაციათა და დამკვირვებელთა რეგისტრაციის წესის განსაზღვრის შესახებ;

6. დადგენილება

არასაარჩევნო პერიოდში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომებზე დასწრებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომების გადაღების მიზნით პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა აკრედიტაციის წესის განსაზღვრის შესახებ;

7. დადგენილება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ;

8. განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულებით განცხადების/საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ ინფორმაციის მხარისათვის შეტყობინების აქტის ფორმის დამტკიცების შესახებ;

9. განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში საარჩევნო დავებზე საჩივრის განხილვისას მხარის ტექნიკური საშუალებებით დაბარების აქტის ფორმის დამტკიცების შესახებ;

10. განკარგულება

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა, წევრთა და უსკოს აპარატის თანამშრომელთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ უსკოს 2024 წლის 20 დეკემბრის №40 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

11. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ზოგიერთი განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ;

12. სხვადასხვა.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები/მოსაზრებები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პაატა კეშელავამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 7;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 7 წევრი:)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. დადგენილება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ;

2. დადგენილება
შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებული და სამსახურებრივი შეუთავსებლობის საკითხების განსაზღვრის შესახებ;

3. დადგენილება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ მოხელეთა ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ, რომლებსაც არ ესაჭიროებათ საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი;

4. დადგენილება

არასაარჩევნო პერიოდში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლის რეგისტრაციის წესის განსაზღვრის შესახებ;

5. დადგენილება

არასაარჩევნო პერიოდში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში დამკვირვებელ ორგანიზაციათა და დამკვირვებელთა რეგისტრაციის წესის განსაზღვრის შესახებ;

6. დადგენილება

არასაარჩევნო პერიოდში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომებზე დასწრებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომების გადაღების მიზნით პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა აკრედიტაციის წესის განსაზღვრის შესახებ;

7. დადგენილება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ;

8. განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულებით განცხადების/საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ ინფორმაციის მხარისათვის შეტყობინების აქტის ფორმის დამტკიცების შესახებ;

9. განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში საარჩევნო დავებზე საჩივრის განხილვისას მხარის ტექნიკური საშუალებებით დაბარების აქტის ფორმის დამტკიცების შესახებ;

10. განკარგულება

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა, წევრთა და უსკოს აპარატის თანამშრომელთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ უსკოს 2024 წლის 20 დეკემბრის №40 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

11. განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ზოგიერთი განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ.

1. დადგენილება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, პაატა კეშელავამ, კომისიის წევრებს წარუდგინა და გააცნო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტი და აღნიშნა, რომ რეგლამენტის პროექტი შედგება 6 თავისა და 16 მუხლისგან, დეტალურადაა გაწერილი უსკოს უფლებამოსილება, უსკოს შემადგენლობა, უსკოს ხელმძღვანელი პირების უფლებამოსილებები, უსკოს აპარატის სტრუქტურა და უსკოს სხდომის მომზადებისა და ჩატარების ასევე კენჭისყრის პროცედურები.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს მოსაზრებები/შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პაატა კეშელავამ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტის დამტკიცების თაობაზე.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 7;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 7 წევრი:)

მიღებულია დადგენილება:

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ჰ[3]“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 88-ე მუხლის მე-4 პუნქტის, 90-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-14 მუხლისა და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1

დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტი დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

ამ დადგენილების ამოქმედების შემდეგ იურიდიულ ძალას ინარჩუნებს ამ დადგენილების ამოქმედებამდე უსკოს/უსკოს ხელმძღვანელი პირების მიერ მიღებული/გამოცემული ყველა სამართლებრივი აქტი, რომლებიც არ ეწინააღმდეგება ამ დადგენილებას.

მუხლი 3

ძალადაკარგულად გამოცხადდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2018 წლის 27 აგვისტოს №3 დადგენილება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, (www.matsne.gov.ge) 29.08.2018, სარეგისტრაციო კოდი: 010220020.34.059.016052).

მუხლი 4

ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 5

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

(დანართი თან ერთვის)

2. დადგენილება

შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებული და სამსახურებრივი შეუთავსებლობის საკითხების განსაზღვრის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, პაატა კეშელავამ, კომისიის წევრებს წარუდგინა და გააცნო შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებული და სამსახურებრივი შეუთავსებლობის საკითხების განსაზღვრის შესახებ დადგენილების პროექტი და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტით დეტალურადაა გაწერილი უსკოს წევრებთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობები, ინტერესთა/თანამდებობრივი შეუთავსებლობა და ქცევის წესები, სამსახურებრივი მოვალეობის კანონიერად შესრულება და სხვა მნიშვნელოვანი დეტალები.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს მოსაზრებები/შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პაატა კეშელავამ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებული და სამსახურებრივი შეუთავსებლობის საკითხების განსაზღვრის შესახებ დადგენილების პროექტის დამტკიცების თაობაზე.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 7;

წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 7 წევრი:)

მიღებულია დადგენილება:

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „წ“ ქვეპუნქტის, 88-ე მუხლის მე-4 პუნქტის, 90-ე მუხლის მე-2 პუნქტის და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-14 მუხლისა და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, შესაბამისად,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს**:

მუხლი 1

განისაზღვროს უსკოს თავმჯდომარის/წევრის შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებული და სამსახურებრივი შეუთავსებლობის საკითხები დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებული და სამსახურებრივი შეუთავსებლობის საკითხების განსაზღვრის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისის 2020 წლის 18 აგვისტოს №2 დადგენილება (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე ვებგვერდი, (www.matsne.gov.ge) 19/08/2020 წელი, სარეგისტრაციო კოდი 010220020.34.059.016057).

მუხლი 3

ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 4

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

(დანართი თან ერთვის)

3. დადგენილება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ მოხელეთა ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ, რომლებსაც არ ესაჭიროებათ საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, პაატა კეშელავამ, კომისიის წევრებს წარუდგინა და დეტალურად გააცნო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ მოხელეთა ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ, რომლებსაც არ ესაჭიროებათ საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტი და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტით, განისაზღვრება აპარატის საშტატო ნუსხით გათვალისწინებული იმ თანამშრომელთა ჩამონათვალი, რომლებსაც არ მოეთხოვებათ საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი. სულ ასეთი უსკოს აპარატში გახლავთ სამი თანამდებობა და მათი საქმიანობა უშუალოდ, პირდაპირ არ არის დაკავშირებული საარჩევნო პროცესებთან. მისი განმარტებით, მიზანშეწონილად ჩაითვალა, რომ აპარატის ამ თანამშრომლების მიმართ არ იქნეს დაწესებული საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატის სავალდებულო მოთხოვნა.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს მოსაზრებები/შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პაატა კეშელავამ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ მოხელეთა ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ, რომლებსაც არ ესაჭიროებათ საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი დადგენილების პროექტის დამტკიცების თაობაზე.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 7;

წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 7 წევრი:)

მიღებულია დადგენილება:

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ ქვეპუნქტის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტის, 88-ე მუხლის მე-4 პუნქტის, 90-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-14 მუხლისა და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, შესაბამისად,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1

დანართის შესაბამისად განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ მოხელეთა ჩამონათვალი, რომლებსაც არ ესაჭიროებათ საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი.

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ მოხელეთა ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ, რომლებსაც არ ესაჭიროებათ საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2018 წლის 27 აგვისტოს №4 დადგენილება (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, (www.matsne.gov.ge) 29/08/2018, სარეგისტრაციო კოდი: 010220020.34.059.016053).

მუხლი 3

ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 4

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

(დანართი თან ერთვის)

4. დადგენილება

არასაარჩევნო პერიოდში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლის რეგისტრაციის წესის განსაზღვრის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, პაატა კეშელავამ, კომისიის წევრებს წარუდგინა და დეტალურად გააცნო არასაარჩევნო პერიოდში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლის რეგისტრაციის წესის განსაზღვრის შესახებ დადგენილების პროექტი და აღნიშნა, რომ ეს დადგენილება სრულიად ახალი ნორმატიული აქტის პროექტია, რომელიც ასევე კანონისმიერი ვალდებულებიდან გამომდინარეობს, ეს არის კანონში პირდაპირ გაწერილი ვალდებულება, რომ უსკომ არასაარჩევნო პერიოდისთვის უნდა მიიღოს საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლების უსკოში რეგისტრაციის წესი, ასევე აღნიშნა, რომ სწორედ ამ საკითხებს არეგულირებს წარმოდგენილი დადგენილების პროექტი, რომელშიც დეტალურადაა გაწერილი არასაარჩევნო პერიოდში თუ როგორ უნდა გაიაროს საარჩევნო სუბიექტმა და საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლებმა რეგისტრაცია უსკოში.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს მოსაზრებები/შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პაატა კეშელავამ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება არასაარჩევნო პერიოდში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლის რეგისტრაციის წესის განსაზღვრის შესახებ დადგენილების პროექტის დამტკიცების თაობაზე.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 7;

წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 7 წევრი:)

მიღებულია დადგენილება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ჯ“ ქვეპუნქტის, 88-ე მუხლის მე-4 პუნქტის და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

ნორმატიული აქტების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-14 მუხლის შესაბამისად,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1

განისაზღვროს არასაარჩევნო პერიოდში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლის რეგისტრაციის წესი დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

(დანართი თან ერთვის)

5. დადგენილება

არასაარჩევნო პერიოდში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში დამკვირვებელ ორგანიზაციათა და დამკვირვებელთა რეგისტრაციის წესის განსაზღვრის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, პაატა კეშელავამ, კომისიის წევრებს წარუდგინა და დეტალურად გააცნო არასაარჩევნო პერიოდში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში დამკვირვებელ ორგანიზაციათა და დამკვირვებელთა რეგისტრაციის წესის განსაზღვრის შესახებ დადგენილების პროექტი და აღნიშნა, რომ აღნიშნული დადგენილებაც ახალი ნორმატიული აქტია, რომელიც პირდაპირაა განსაზღვრული „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონით, რომლის თანახმადაც, უსკო ვალდებულია განსაზღვროს არასაარჩევნო პერიოდში დამკვირვებელ ორგანიზაციათა და დამკვირვებელთა უსკოში რეგისტრაციის წესი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს მოსაზრებები/შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პაატა კეშელავამ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება არასაარჩევნო პერიოდში აჭარის ავტონომიური

რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში დამკვირვებელ ორგანიზაციათა და დამკვირვებელთა რეგისტრაციის წესის განსაზღვრის შესახებ დადგენილების პროექტის დამტკიცების თაობაზე.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 7;

წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 7 წევრი:)

მიღებულია დადგენილება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ხ“ ქვეპუნქტისა და 88-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1.

განისაზღვროს არასაარჩევნო პერიოდში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში დამკვირვებელ ორგანიზაციათა და დამკვირვებელთა რეგისტრაციის წესი დანართის შესაბამისად.

მუხლი 2.

ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3.

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

(დანართი თან ერთვის)

6. დადგენილება

არასაარჩევნო პერიოდში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომებზე დასწრებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომების გადაღების მიზნით პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა აკრედიტაციის წესის განსაზღვრის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, პაატა კეშელავამ, კომისიის წევრებს წარუდგინა და დეტალურად გააცნო არასაარჩევნო პერიოდში აჭარის

ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომებზე დასწრებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომების გადაღების მიზნით პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა აკრედიტაციის წესის განსაზღვრის შესახებ დადგენილების პროექტი, მისი განმარტებით „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით პირდაპირ არის განსაზღვრული სუბიექტთა ის წრე, ვისაც აქვს საარჩევნო კომისიის სხდომაზე დასწრების უფლება, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მიღებაც პირდაპირ არის განსაზღვრული კანონით, რომლის თანახმადაც უსკო ვალდებულია განსაზღვროს არასაარჩევნო პერიოდში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომებზე დასწრებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომების გადაღების მიზნით პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა აკრედიტაციის წესი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს მოსაზრებები/შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პაატა კეშელავამ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება არასაარჩევნო პერიოდში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომებზე დასწრებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომების გადაღების მიზნით პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა აკრედიტაციის წესის განსაზღვრის შესახებ დადგენილების პროექტის დამტკიცების თაობაზე.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 7;

წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 7 წევრი:)

მიღებულია დადგენილება:

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი

საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ჰ“ ქვეპუნქტისა და 88-ე მუხლის მე-4 პუნქტის, 90-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1

განისაზღვროს არასაარჩევნო პერიოდში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომებზე დასწრებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომების გადაღების მიზნით პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა აკრედიტაციის წესი დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „არასაარჩევნო პერიოდში საარჩევნო კომისიის სხდომებზე დასწრების და კომისიის სხდომების გადაღების მიზნით პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა აკრედიტაციის წესის განსაზღვრის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2020 წლის 18 აგვისტოს №3 დადგენილება (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 19/08/2020 წელი, სარეგისტრაციო კოდი (010220020.34.059.016058).

მუხლი 3

ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 4

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

(დანართი თან ერთვის)

7. დადგენილება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, პაატა კეშელავამ, კომისიის წევრებს წარუდგინა და დეტალურად გააცნო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ დადგენილების პროექტი და აღნიშნა, რომ წლების განმავლობაში

უსკოს მიღებული აქვს სხვადასხვა შინაარსის დადგენილებები კონკრეტული არჩევნებისათვის გამოსაყენებლად. აღნიშნულმა დადგენილებებმა თავისი მოქმედების ვადა ამოწურეს, შესაბამისად დღის წესრიგში დადგა მათი ძალადაკარგულად გამოცხადების საკითხი. წარმოდგენილი პროექტის მიხედვით ძალადაკარგულად ცხადდება უსკოს მიერ სხვადასხვა დროს მიღებული 24 დადგენილება.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს მოსაზრებები/შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პაატა კეშელავამ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ დადგენილების პროექტის დამტკიცების თაობაზე.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 7;

წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 7 წევრი:)

მიღებულია დადგენილება:

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 88-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-14 მუხლისა და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, შესაბამისად,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს**:

მუხლი 1

ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

1. „კომპიუტერული უზრუნველყოფის დროებითი სამსახურის შექმნის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2012 წლის 31 ივლისის №2 დადგენილება (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე ვებგვერდი, (www.matsne.gov.ge) 02/08/2012 წელი, სარეგისტრაციო კოდი: 010220020.34.059.016003);

2. „უმაღლესი საბჭოს 2012 წლის არჩევნების გამართვისათვის გამოყოფილი თანხის განაწილებისა და გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2012 წლის 3 აგვისტოს №3 დადგენილება (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე ვებგვერდი, (www.matsne.gov.ge) 06/08/2012 წელი, სარეგისტრაციო კოდი: 010220020.34.059.016004);

3. „საუბნო საარჩევნო კომისიებისათვის ზოგიერთი საარჩევნო პროცედურების განსაზღვრის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2012 წლის 13 აგვისტოს №7 დადგენილება (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე ვებგვერდი, (www.matsne.gov.ge) 15/08/2012 წელი, სარეგისტრაციო კოდი: 010220020.34.059.016008);

4. „2012 წლის 1 ოქტომბრის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტებისათვის რიგითი ნომრის მინიჭების წესის განსაზღვრის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2012 წლის 21 აგვისტოს №10 დადგენილება (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე ვებგვერდი, (www.matsne.gov.ge) 22/08/2012 წელი, სარეგისტრაციო კოდი: 010220020.34.059.016011);

5. „საოლქო საარჩევნო კომისიებისათვის საჭირო ფულადი სახსრების განაწილებისა და გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2012 წლის 22 აგვისტოს №11 დადგენილება (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე ვებგვერდი, (www.matsne.gov.ge) 23/08/2012 წელი, სარეგისტრაციო კოდი: 010220020.34.059.016012);

6. „კომპიუტერული უზრუნველყოფის დროებითი სამსახურის შექმნის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2016 წლის 7 ივნისის №2 დადგენილება (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე ვებგვერდი, (www.matsne.gov.ge) 08/06/2016 წელი, სარეგისტრაციო კოდი: 010220020.34.059.016022);

7. „მხარდამჭერთა სიების შევსებისა და შემოწმების დამატებითი წესის განსაზღვრის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2016 წლის 7 ივნისის №3 დადგენილება (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე ვებგვერდი, (www.matsne.gov.ge) 08/06/2016 წელი, სარეგისტრაციო კოდი: 010220020.34.059.016023);

8. „უმაღლესი საბჭოს 2016 წლის არჩევნების გამართვისათვის გამოყოფილი თანხის განაწილებისა და გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2016 წლის 7 ივნისის №4 დადგენილება (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე ვებგვერდი, (www.matsne.gov.ge) 08/06/2016 წელი, სარეგისტრაციო კოდი: 010220020.34.059.016024);

9. „ზოგიერთი საარჩევნო პროცედურების განსაზღვრის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2016 წლის 13 ივნისის №5 დადგენილება (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე ვებგვერდი, (www.matsne.gov.ge) 14/06/2016 წელი, სარეგისტრაციო კოდი: 010220020.34.059.016025);

10. „საოლქო საარჩევნო კომისიებისათვის ზოგიერთი საარჩევნო პროცედურის განსაზღვრის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2016 წლის 24 აგვისტოს №10 დადგენილება (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე ვებგვერდი, (www.matsne.gov.ge) 24/08/2016 წელი, სარეგისტრაციო კოდი: 010220020.34.059.016030);

11. „საუბნო საარჩევნო კომისიებისათვის ზოგიერთი საარჩევნო პროცედურის განსაზღვრის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2016 წლის 24 აგვისტოს №11 დადგენილება (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე ვებგვერდი, (www.matsne.gov.ge) 24/08/2016 წელი, სარეგისტრაციო კოდი: 010220020.34.059.016031);

12. „უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის ნარკოლოგიურ შემოწმებასთან დაკავშირებული ზოგიერთი პროცედურის განსაზღვრის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2016 წლის 24 აგვისტოს №12 დადგენილება (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე ვებგვერდი, (www.matsne.gov.ge) 24/08/2016 წელი, სარეგისტრაციო კოდი: 010220020.34.059.016032);

13. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტებისათვის რიგითი ნომრის მინიჭების წესის განსაზღვრის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2016 წლის 5 სექტემბრის №13 დადგენილება (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე ვებგვერდი, (www.matsne.gov.ge) 05/09/2016 წელი, სარეგისტრაციო კოდი: 010220020.34.059.016033);

14. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით მეორე ტურის გამართვისათვის ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიებისა და ვადების დადგენის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2016 წლის 21 ოქტომბრის №14 დადგენილება (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე ვებგვერდი, (www.matsne.gov.ge) 24/10/2016 წელი, სარეგისტრაციო კოდი: 010220020.34.059.016034);

15. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით მეორე ტურისათვის №80 ქედის, №82 შუახევის და №84 ხულოს საოლქო საარჩევნო კომისიებისათვის საჭირო ფულადი სახსრების განაწილებისა და გამოყენების წესის განსაზღვრის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2016 წლის 23 ოქტომბრის №15 დადგენილება (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე ვებგვერდი, (www.matsne.gov.ge) 24/10/2016 წელი, სარეგისტრაციო კოდი: 010220020.34.059.016035);

16. „ზოგიერთი საარჩევნო პროცედურის განსაზღვრის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2016 წლის 11 ნოემბრის №16 დადგენილება (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე ვებგვერდი, (www.matsne.gov.ge) 14/11/2016 წელი, სარეგისტრაციო კოდი: 010220020.34.059.016036);

17. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლეობის წესის განსაზღვრის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2016 წლის 16 დეკემბრის №17 დადგენილება (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე ვებგვერდი, (www.matsne.gov.ge) 16/12/2016 წელი, სარეგისტრაციო კოდი: 010220020.34.059.016037);

18. „უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების გამართვისათვის გამოყოფილი თანხის განაწილებისა და გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2020 წლის 1 სექტემბრის №5 დადგენილება (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე ვებგვერდი, (www.matsne.gov.ge) 02/09/2020 წელი, სარეგისტრაციო კოდი: 010220020.34.059.016060);

19. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტებისათვის რიგითი ნომრის მინიჭების წესის განსაზღვრის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2020 წლის 17 სექტემბრის №6 დადგენილება (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე ვებგვერდი, (www.matsne.gov.ge) 18/09/2020 წელი, სარეგისტრაციო კოდი: 010220020.34.059.016061);

20. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებისათვის ზოგიერთი საარჩევნო პროცედურების განსაზღვრის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2020 წლის 17 სექტემბრის №7 დადგენილება (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე ვებგვერდი, (www.matsne.gov.ge) 18/09/2020 წელი, სარეგისტრაციო კოდი: 010220020.34.059.016062);

21. „ზოგიერთი საარჩევნო პროცედურების განსაზღვრის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2020 წლის 25 ოქტომბრის №8 დადგენილება (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე ვებგვერდი, (www.matsne.gov.ge) 26/10/2020 წელი, სარეგისტრაციო კოდი: 010220020.34.059.016063);

22. „უმაღლესი საბჭოს 2024 წლის არჩევნების გამართვისათვის გამოყოფილი თანხის განაწილებისა და გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2024 წლის 21 აგვისტოს №4 დადგენილება (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე ვებგვერდი, (www.matsne.gov.ge) 22/08/2024 წელი, სარეგისტრაციო კოდი: 010220020.34.059.016070);

23. „რიგითი ნომრის მინიჭების დამატებითი წესის განსაზღვრის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2024 წლის 28 აგვისტოს №5 დადგენილება (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე ვებგვერდი, (www.matsne.gov.ge) 29/08/2024 წელი, სარეგისტრაციო კოდი: 010220020.34.059.016071);

24. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებისათვის ზოგიერთი საარჩევნო პროცედურების განსაზღვრის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2024 წლის 12 სექტემბრის №6

დადგენილება (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე ვებგვერდი, (www.matsne.gov.ge) 13/09/2024 წელი, სარეგისტრაციო კოდი: 010220020.34.059.016072);

მუხლი 2.

ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

8. განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულებით განცხადების/საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ ინფორმაციის მხარისათვის შეტყობინების აქტის ფორმის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, პაატა კეშელავამ, კომისიის წევრებს წარუდგინა და დეტალურად გააცნო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულებით განცხადების/საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ ინფორმაციის მხარისათვის შეტყობინების აქტის ფორმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი და აღნიშნა, რომ უსკომ კანონმდებლობის შესაბამისად უნდა დაამტკიცოს განცხადების/საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ მხარისათვის შეტყობინების აქტის ფორმის ნიმუში, რომლითაც იხელმძღვანელებს საარჩევნო პერიოდში უსკოს შესაბამისი სტრუქტურული ერთეული განცხადების/საჩივრის განუხილველად დატოვების შემთხვევაში.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს მოსაზრებები/შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პაატა კეშელავამ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულებით განცხადების/საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ ინფორმაციის მხარისათვის შეტყობინების აქტის ფორმის

დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტის დამტკიცების თაობაზე.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 7;

წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 7 წევრი:)

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 88-ე მუხლის მე-4, მე-11 და მე-14 პუნქტების შესაბამისად,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1. დამტკიცდეს განცხადების/საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ ინფორმაციის მხარისათვის შეტყობინების აქტის ფორმა, დანართის შესაბამისად.

მუხლი 2. დაევალოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსს, განცხადების/საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ ინფორმაციის მხარისათვის შეტყობინება მოახდინოს ამ განკარგულების პირველი მუხლით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად.

მუხლი 3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 4. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

(დანართი თან ერთვის)

9. განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში საარჩევნო დავებზე საჩივრის განხილვისას მხარის ტექნიკური საშუალებებით დაბარების აქტის ფორმის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, პაატა კეშელავამ, კომისიის წევრებს წარუდგინა და დეტალურად გააცნო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში საარჩევნო დავებზე საჩივრის განხილვისას მხარის ტექნიკური საშუალებებით დაბარების აქტის ფორმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს მოსაზრებები/შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პაატა კეშელავამ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში საარჩევნო დავებზე საჩივრის განხილვისას მხარის ტექნიკური საშუალებებით დაბარების აქტის ფორმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტის დამტკიცების თაობაზე.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 7;

წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 7 წევრი:)

მიღებულია განკარგულება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 88-ე მუხლის მე-4 და მე-20 პუნქტებისა და 90-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში საარჩევნო დავებზე საჩივრის განხილვისას მხარის ტექნიკური საშუალებებით დაბარების აქტი დანართის შესაბამისად.

მუხლი 2. დაევალოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსს, საჩივრის განხილვისათვის მხარის დაბარების დადასტურება მოახდინოს ამ განკარგულების პირველი მუხლით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად.

მუხლი 3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში საარჩევნო დავებზე საჩივრის განხილვისას მხარის ტექნიკური საშუალებებით დაბარების აქტის ფორმის დამტკიცების თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2018 წლის 4 ოქტომბრის №9 განკარგულება.

მუხლი 4. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 5. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

(დანართი თან ერთვის)

10. განკარგულება
„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა, წევრთა და უსკოს აპარატის თანამშრომელთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ უსკოს 2024 წლის 20 დეკემბრის №40 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, პაატა კეშელავამ, კომისიის წევრებს წარუდგინა და დეტალურად გააცნო „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა, წევრთა და უსკოს აპარატის თანამშრომელთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ უსკოს 2024 წლის 20 დეკემბრის №40 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ განკარგულების პროექტი და აღნიშნა, რომ ამ განკარგულების პროექტით წარმოდგენილი საშტატო განრიგით გათვალისწინებული ცალკეული საშტატო ერთეულებისათვის დადგენილი თანამდებობრივი სარგოების კოეფიციენტები შესაბამისობაში მოდის კანონმდებლობის მოთხოვნებთან.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს მოსაზრებები/შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პაატა კეშელავამ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა, წევრთა და უსკოს აპარატის თანამშრომელთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“

უსკოს 2024 წლის 20 დეკემბრის №40 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ განკარგულების პროექტის დამტკიცების თაობაზე.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 7;

წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 7 წევრი:)

მიღებულია განკარგულება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 88-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და 90-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა, წევრთა და უსკოს აპარატის თანამშრომელთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2024 წლის 20 დეკემბრის №40 განკარგულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 121-ე მუხლის, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტისა და 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ყ“ ქვეპუნქტის და 88-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:“.

2. განკარგულების დანართის მე-2 პუნქტის მე-9 სტრიქონი, მე-3 პუნქტის მე-13 სტრიქონი, მე-4 პუნქტის მე-17 სტრიქონი და მე-5 პუნქტის 22-ე სტრიქონი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2. ამ განკარგულების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის მოქმედება გავრცელდეს 2026 წლის 1 ივლისიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

მუხლი 3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 4. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

(დანართი თან ერთვის)

11. განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ზოგიერთი განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, პაატა კეშელავამ, კომისიის წევრებს წარუდგინა და დეტალურად გააცნო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ზოგიერთი განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ განკარგულების პროექტი და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტით ძალადაკარგულად ცხადდება უსკოს ის განკარგულებები, რომლებმაც თავისი მოქმედების არეალი ამოწურეს და შესაბამისად, მიზანშეწონილია მათი ძალადაკარგულად გამოცხადება.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს მოსაზრებები/შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პაატა კეშელავამ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ზოგიერთი განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ განკარგულების პროექტის დამტკიცების თაობაზე.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 7;

წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 7 წევრი:)

მიღებულია განკარგულება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 88-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს**:

მუხლი 1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

1. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მივლინების ფორმის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2008 წლის 11 სექტემბრის №52 განკარგულება.

2. „ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2012 წლის 7 აგვისტოს №14 განკარგულება.

3. „ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2012 წლის 21 აგვისტოს №16 განკარგულება.

4. „ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2012 წლის 28 აგვისტოს №20 განკარგულება.

5. „ბიულეტენების ბლოკნოტის თავფურცელის ფორმის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2012 წლის 5 სექტემბრის №21 განკარგულება.

6. „ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2012 წლის 5 სექტემბრის №23 განკარგულება.

7. „უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლების შერჩევის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2012 წლის 15 სექტემბრის №24 განკარგულება.

8. „საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების სადემონსტრაციო და კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური

რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2012 წლის 21 სექტემბრის №28 განკარგულება.

9. „ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2012 წლის 22 სექტემბრის №30 განკარგულება.

10. „საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციების მიერ დამკვირვებელთა შესახებ ინფორმაციის შინაარსისა და ფორმის (ანკეტის) დადგენის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2016 წლის 13 ივნისის №6 განკარგულება.

11. „ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2016 წლის 20 სექტემბრის №38 განკარგულება.

12. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის საარჩევნო პერიოდში უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრების, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული მოსამსახურეების რაოდენობისა და შრომის ანაზღაურების განსაზღვრის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2020 წლის 27 აგვისტოს №12 განკარგულება.

13. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ შესაბამის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში წარდგენილი კანდიდატებისთვის მხარდამჭერთა ხელმოწერების მინიმალური ოდენობის დადგენის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2020 წლის 1 სექტემბრის №14 განკარგულება.

14. „დამკვირვებლის რეგისტრაციის შესახებ განცხადების ფორმის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2020 წლის 6 სექტემბრის №21 განკარგულება.

15. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლების არჩევის წესისა და უფლებამოსილების განსაზღვრის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2020 წლის 25 სექტემბრის №27 განკარგულება.

16. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლების არჩევის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2020 წლის 1 ოქტომბრის №29 განკარგულება.

17. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლების არჩევის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2020 წლის 06 ოქტომბრის №32 განკარგულება.

18. „ბიულეტენების ტექსტის დადგენის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2020 წლის 19 ოქტომბრის №35 განკარგულება.

19. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის ზოგიერთი საარჩევნო საბუთის სახის დადგენის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2020 წლის 19 ოქტომბრის №37 განკარგულება.

20. „საარჩევნო ბიულეტენებისა და შემაჯამებელი ოქმების დაბეჭდვის პროცესზე დამკვირვებელთა დანიშვნის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2020 წლის 20 ოქტომბრის №38 განკარგულება.

21. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2022 წლის 10 ოქტომბრის №4 განკარგულება.

22. „სპეციალური კომისიის შექმნის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2024 წლის 15 მარტის №1 განკარგულება.

23. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ლოგოს შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2024 წლის 28 მარტის №2 განკარგულება.

24. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის ზოგიერთი საარჩევნო საბუთების სახეების დადგენის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2024 წლის 21 აგვისტოს №13 განკარგულება.

25. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის ზოგიერთი საარჩევნო საბუთების სახეების დადგენის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2024 წლის 01 სექტემბრის №18 განკარგულება.

26. „ზოგიერთი საარჩევნო საბუთების სახეების დადგენის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2024 წლის 10 ოქტომბრის №31 განკარგულება.

27. „ბიულეტენის ტექსტის დადგენის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2024 წლის 10 ოქტომბრის №32 განკარგულება.

მუხლი 2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

სხვადასხვა.

კომისიის წევრმა, ციალა შავაძემ, აღნიშნა, რომ განსაკუთრებით მისასალმებელია აღნიშნულ ცვლილებებზე მუშაობის პროცესში გამოვლენილი მაღალი ჩართულობა და საკითხების ამომწურავი განხილვა. აღნიშნული ადასტურებს კოორდინირებული და ეფექტური თანამშრომლობის არსებობას, რაც ინსტიტუციური საქმიანობისა და გუნდური მუშაობის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპია.

სხდომის თავმჯდომარემ, პაატა კეშელავამ, კიდევ ერთხელ მადლობა გადაუხადა სამუშაო ჯგუფის წევრებს, რომლებმაც ამ პროცესში საკმაოდ მნიშვნელოვანი სამუშაო გასწიეს.

სხდომაზე სხვა განსახილველი საკითხები არ წამოჭრილა.

სხდომის თავმჯდომარემ, პაატა კეშელავამ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე **პაატა კეშელავა**

კომისიის მდივანი **ტარიელ გოგიტიძე**